



საჯარო სამართლის იურიდიული პირი

შეფასებისა და გამოცდების
ეროვნული ცენტრი



ბრძანება № 21/20

“ 21 ” ჩემბერჯი 2020 წ.

ქ. თბილისი

2019-2020 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურის ჩატარების ფორმის, თითოეული საგნის ტესტის მაქსიმალური ქულის, კონკრეტული კლასის/კლასებისა და საგნის შესაბამისად ტესტირებისათვის გამოყოფილი დროის (გარდა გერმანული ენისა) დადგენის თაობაზე

2019-2020 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურის ჩატარების ფორმის, კონკრეტული კლასის/კლასებისა და საგნის შესაბამისად ტესტირებისათვის გამოყოფილი დროისა და თითოეული საგნის ტესტის მაქსიმალური ქულის დადგენის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 26 ოქტომბრის N111/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-17 მუხლის მე-7 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 თებერვლის N93 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2019-2020 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტური (გარდა გერმანული ენისა და XI-XII კლასების ქიმიის და ფიზიკის საგნებისა) ჩატარდეს წერილობითი ფორმით.
2. 2019-2020 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტური ქიმიისა და ფიზიკის XI-XII კლასებში ჩატარდეს როგორც წერილობითი, ასევე ექსპერიმენტული ფორმით.
3. 2019-2020 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურში კონკრეტული კლასის/კლასებისა და საგნის შესაბამისად (გარდა გერმანული ენისა) ტესტირებისათვის გამოყოფილი დრო დამტკიცდეს ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად.

4. 2019-2020 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურზე თითოეული საგნის ტესტისათვის დამტკიცდეს მაქსიმალური ქულები (გარდა გერმანული ენისა) ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად.
5. დაევალოს სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ამ ბრძანებით გათვალისწინებული ინფორმაციის სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება.
6. დაევალოს სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანებით გათვალისწინებული ინფორმაციის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანებისათვის – საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიული ორგანებისათვის - საგანმანათლებლო რესურსცენტრებისათვის გაცნობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ ბრძანებით გათვალისწინებული ინფორმაციის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის გადაცემას.
7. დაევალოს სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციის კოორდინატორს ამ ბრძანების სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტისათვის, ასევე ცენტრის იურიდიული, გამოცდების ორგანიზებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებისთვის გაცნობა.
8. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N6).

დირექტორი



სოფიო გორგოძე

2019-2020 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურში
კონკრეტული კლასის/კლასებისა და საგნის შესაბამისად (გარდა გერმანული ენისა)
ტესტირებისათვის გამოყოფილი დრო

საგანი	დრო
მათემატიკა	4 საათი
ქართული ენა და ლიტერატურა	4 საათი
ქართული ენა არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის	4 საათი
ისტორია	2 საათი და 30 წუთი
გეოგრაფია	2 საათი
ბიოლოგია	1 საათი 30 წუთი
უცხოური ენა (გარდა გერმანული ენისა)	2 საათი
ფიზიკა	წერილობითი ფორმით- 4 საათი
	ექსპერიმენტული ფორმით - 3 საათი
ქიმია	წერილობითი ფორმით -4 საათი
	ექსპერიმენტული ფორმით - 4 საათი

2019-2020 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურში
თითოეული საგნის (გარდა გერმანული ენისა) მაქსიმალური ქულა

საგანი	მაქსიმალური ქულა	
ქართული ენა და ლიტერატურა	40	
ქართული ენა არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეებისათვის	40	
უცხოური ენა (გარდა გერმანული ენისა)	60	
მათემატიკა	25	
გეოგრაფია	45	
ისტორია	25	
ბიოლოგია	25	
ქიმია	40	
	წერილობითი ფორმით 25	ექსპერიმენტული ფორმით 15
ფიზიკა	35	
	წერილობითი ფორმით 25	ექსპერიმენტული ფორმით 10